



შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№34 (9.993)
18 - 25 სექტემბერი 2021 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

ვის აირჩევენ დედოფლისწყაროელები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე?



საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. პოლიტიკურმა პარტიებმა მერობის კანდიდატებიც წარადგინეს და პარტიული სიებიც. დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში პარტიული სია 11-მა პოლიტიკურმა გაერთიანებამ წარადგინა, მაგრამ საარჩევნო კომისიამ ორ მათგანს - „მესამე ძალას“ და „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ უარი უთხრა რეგისტრაციაზე დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის გამო. საოლქო-საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ მათ ამ ხარვეზის აღმოფხვრა დროულად ვერ შეძლეს. დედოფლისწყაროს მოსახლეობას მოუწევს არჩევანი 9 პარტიას შორის გააკეთოს. მამ ასე, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პოლიტიკური ორგანიზაციები :

„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „ლელო“; „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; „გახარია საქართველოსთვის“; ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; „გირჩი“; „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე-მეტი თავისუფლება“; „სახალხო პარტია“.

დედოფლისწყაროში მუნიციპალიტეტის მერობისთვის ორი კანდიდატი იბრძოლებს: მოქმედი მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი თამაზ კოჭლამაზაშვილი.

მაჟორიტარობის კანდიდატები დედოფლისწყაროში მხოლოდ ხუთმა პოლიტიკურმა ძალამ წარადგინა: „ქართულმა ოცნებამ“, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ლელო“, „ევროპულმა საქართველომ“ და „სახალხო პარტიამ“. დედოფლისწყაროში ორი დამოუკიდებელი კანდიდატიცაა. ისინი საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა. ბესიკ ქავთარაძე სოფელ ზემო ქედში, ხოლო მურთაზ ხუცურაული - ქვემო ქედში მაჟორიტარული მანდატისა და ხალხის ნდობის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

გაზეთი „შირაქი“ ამ და მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ კანდიდატებსა და მათ სამოქმედო გეგმას. არჩევანი თქვენზეა, ძვირფასო ამომრჩევლო!

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 2 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი/უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.

დედოფლისწყარო ირჩევს!

მერობის კანდიდატები



41 ნიკოლოზ
ჯანიასვილი
დედოფლისწყაროს
მერად

განვითარება ყველა ჩემთვის

ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM

ნიკოლოზ ჯანიასვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის პოსტს 2014 წლიდან იკავებს. მან საბანკო სექტორიდან პოლიტიკაში გადმონაცვლა და უკვე 8 წელია, მუნიციპალიტეტის პირველი პირია. რას გეგმავს ის გამარჯვების შემთხვევაში და რა არის ის საკითხი, რომლის მოგვარებაც მისი მთავარი ამოცანა იყო ხელისუფლებაში მოსვლისას?

„მე დედოფლისწყაროში დავიბადე და გავიზარდე, აქ მყავს მეგობრები, ნათესავები, ჩემთვის ძვირფასი ადამიანები...დედოფლისწყარო ჩემთვის ოჯახია, დიდი ოჯახი, და მიმაჩნია, რომ რასაც ვაკეთებ დედოფლისწყაროსთვის, ვაკეთებ ჩემი ოჯახის საკეთილდღეოდ. ყოველთვის ვცდილობ, არ დავკარგო რეალობის შეგრძნება, არ გავწყვიტო კავშირი მოსახლეობასთან, რათა ვიცოდე, რა უხარიათ, რა სწყინთ, რა არის მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. ხალხთან კომუნიკაცია გვაძლევს ყველაზე უტყუარ მესიჯს დედოფლისწყაროს განვითარებისთვის. ამიტომ ჩემი მიზანია, რომ ჩვენს გუნდთან ერთად, ბევრი სასიკეთო პროექტი განვახორციელო და დედოფლისწყარო ყველასათვის სასურველ მუნიციპალიტეტად ვაქციო, საიდანაც წასვლა აღარავის მოუწდება. იცით ალბათ, რომ მომავალი წელი ახალგაზრდობის წლად გამოვაცხადეთ. დიახ, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის სწორედ ახალგაზრდული ძალა და ენერჯიაა საჭირო, რომელიც ახალ სუნთქვას შთაბერავს ჩვენს საყვარელ რაიონს. მე ვარ საკუთარ რაიონზე შეყვარებული ადამიანი, რომელსაც უხარია ყველა ის წარმატება, რასაც ჩვენს გუნდთან ერთად მუნიციპალიტეტში ვახორციელებთ. ბავშვივით მიხარია, როცა დედოფლისწყაროელი საზღვრებს გარეთ აღწევს წარმატებას და ქვეყნისა და რაიონის სახელი მსოფლიოს მასშტაბით გააქვს. ასე იყო ლამა ბექაურის ოლიმპიური ოქროს შემთხვევაშიც.“

რა ხდებოდა „ქართული ოცნების“ სათავეში მოსვლამდე?
დედოფლისწყარო მივიწყებული იყო ქვეყნის ხელისუფლებისგან, მუნიციპალიტეტის არცერთი ძირეული პრობლემა არ გვარდებოდა. საკმაოდ რთული მეგვიდრეობა დაგვხვდა. მოკლედ რომ ვთქვათ, განხორციელებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების წყალობით სრულად რეაბილიტირდა საავტომობილო გზები. ადრე ქედების ზონაში წასვლა თუ დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვდა, გზების მშენებლობის შემდეგ ეს პრობლემა აღარ არსებობს. აღსანიშნავია ასევე სამთაწყარო-ფიროსმანისა და საბათლომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რომელმაც რეალურად უკეთესობისკენ შეცვალა ამ სოფლების მცხოვრებთა ყოფა. საუკუნის პროექტად შეფასდა ქედების ზონისა და გამარჯვების გაზიფიცირების პროექტი. სამთაწყაროსა და ფიროსმანში სამელიორაციო სისტემის რეაბილიტაციამ ვენახების მოსავალიც გაზარდა და მოსახლეობაც დააბრუნა სოფლებში. სარწყავი სისტემის ნაწილი დარჩა აღდგენის გარეშე, რომლის რეაბილიტაციაც მოკლე ხანში მოხდება. სოფლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემდეგ ბევრი ემიგრანტი დაბრუნდა მუნიციპალიტეტში. უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლისწყაროში, „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, 1600 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა, ხოლო შირაქში დაუმუშავებელი მიწა აღარ არის. გაკეთებული საქმეების მიღმა, კიდევ ბევრი პრობლემა მოსაგვარებელი.

დედოფლისწყაროსთვის მთავარ გამოწვევად რჩება სასამელი წყალი. მდინარე ივრიდან, დებეტის შეესების მიზნით, წყლის ამოყვანის სამუშაოები უკვე დაწყებულია და საუკუნის პრობლემის მოგვარება მალე მოხდება. დაიწყო ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრისა და შინმოუსვლელთა მემორიალის რეაბილიტაცია. ეს საკმაოდ გრანდიოზული პროექტია და ის იქცევა ბევრი ადამიანისთვის კულტურული დასვენების ზონად. დედოფლისწყაროელებისთვის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია ხორნაბუჯის ციხე. ეს ისტორიული ნაქალაქარი ჩვენი სათაყვანებელი მეფის-თამარის სახელს ატარებს და ყველასთვის საყვარელი ადგილია. წელს ასევე დაგეგმილია ხორნაბუჯის ციხესთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და საპიკნიკე ზონის მოწყობა. ვფიქრობთ, ეს ბევრი ჩვენი თანამემამულის ოცნება იყო. როგორც ხედავთ, ჩვენ არ ვჩერდებით. ჩვენი მიზანია, მოუწაროთ დედოფლისწყაროს ისე, როგორც ჩვენს სახლს და ყველაფერი გავაკეთოთ მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობისთვის, რათა ყველამ ერთად ვიცხოვროთ ლამაზ და მოვლილ გარემოში.



**დაგვა გიშ
დავდეთ
ეხთად!**

5

**მთლი
რეზერვუა!**

2 ოქტომბერი 2021

მისამართი:
დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. N55
ტელ: 599 198 558

5

**თამაზ
კოჭლამაზაშვილი**
რეზერვუის დირექტი
დედოფლისწყაროს მერად

თამაზ კოჭლამაზაშვილი დაიბადა 1983 წელს ქალაქ დედოფლისწყაროში. 2000წელს დაამთავრა ქ. დედოფლისწყაროს N1 საშუალო სკოლა, 2004 წელს - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით- საერთაშორისო ბიზნეს ეკონომიკა, კომერცია მარკეტინგი. 2004-2007 წლებში მუშაობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მინის პრეზიდენტის სამსახურში სპეციალისტად, 2007-2010 წლებში იყო „ხორანთა გეო“-ს გენერალური დირექტორი, 2010-2016 წლებში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის შემოსავლების სამსახურის უფროსი. 2016 წლიდან არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი.

რის გაკეთებას გეგმავს ის დედოფლისწყაროს მერობის შემთხვევაში?

თამაზ კოჭლამაზაშვილი ამბობს, რომ დედოფლისწყაროს უნდა მართავდეს პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა და გამოცდილება. დროა, დასრულდეს ნეპოტიზმისა და კლანური მმართველობის ხანა.

„მიმაჩნია, რომ მთავარი აქცენტი ახალგაზრდებზე უნდა გაკეთდეს- ახალგაზრდების რესურსი, იდეები, თანამედროვე ხედვა, განათლება და პატრიოტიზმი ჩვენს ქალაქსა და სოფლებს უნდა მოხმარდეს. ყველა პირობა უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ მათი მიგრაცია შეწყდეს და ინტელექტის გადინება არ მოხდეს დედოფლისწყაროდან-თბილისში ან საზღვარგარეთ.“

დღევანდელი ხელისუფლება ამაყობს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით, მაგრამ ის არასაკმარისია მოსახლეობის აქ დამაგრებისთვის, ტურიზმის განვითარებისთვის. ჩვენი რაიონისთვის მთავარი სფერო აგრარული სექტორია, რომელსაც სათანადო ყურადღება არ ექცევა.

სოფლის მეურნეობის, ფერმერებისა და გლეხების განვითარება თანამედროვე სტანდარტების შესაბამის განათლებაზე წვდომით უნდა ხდებოდეს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რეალური და მოსახლეობაზე მორგებული სერვის ცენტრის არსებობით.“

თამაზ კოჭლამაზაშვილის მთავარი მესიჯი ასე უდერს: „2 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მოსახლეობამ მონაწილეობა უნდა მიიღოს რეფერენდუმში, სადაც არჩევანი უნდა გაკეთდეს სიღარიბესა და კეთილდღეობას, ძალმომრეობასა და უსაფრთხოებას, მონობასა და თავისუფლებას, უძრობასა და მოძრაობას შორის. ყველანი მოდით არჩევნებზე და ერთად შევცვალოთ ქვეყნისა და ჩვენი მუნიციპალიტეტის მომავალი!“

როგორ დაიწყო 2021-22 სასწავლო წელი დედოფლისწყაროში?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა მოსწავლეებს, პედაგოგებს, ლექტორებსა და სრულიად აკადემიურ სივრცეს სწავლის დაწყება მიულოცა. მინისტრმა მიმართვაში აღნიშნა, რომ 15 სექტემბერს სწავლა დისტანციურად დაიწყო, მაგრამ ეს დროებითია; იმისათვის, რომ თითოეული მოსწავლე დაუბრუნდეს ბუნებრივ სასკოლო გარემოს, საჭიროა მასწავლებლების, მოსწავლეთა მშობლებისა და მთლიანად საზოგადოების კონსოლიდირება ჯანდაცვის სფეროს რეკომენდაციების ზედმიწევნით დაცვაში.

ტილება პირველკლასელებთან დაკავშირებით. პედაგოგიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პირველკლასელებს თავიანთი პირველი სასკოლო გამოცდილება, მათი პირველი გაკვეთილები ჩაუტარდეთ ბუნებრივ სასკოლო გარემოში. შესაბამისად, პირველკლასელები სწავლას 4 ოქტომბერს დასწრებულ ფორმატში დაიწყებენ იმ სკოლებში, სადაც ინფიცირების მაჩვენებელი იქნება 4 %-ზე ნაკლები. მე მთელი გულით, ყველას გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს.“ - აღნიშნა მინისტრმა.

თუ როგორ დაიწყო ჩვენს მუნიციპალიტეტში 2021-22

კურსდამთავრებულებიდან ორმა მოსწავლემ 100%-იანი გრანტი აიღო, ათმა 70%-იანი, თორმეტმა 50%-იანი. 100%-იანი გრანტი მიიღეს ზემო ქედის N1 და N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

იმოქმედა თუ არა ონლაინ სწავლებამ არსებულ შედეგებზე?

დისტანციურმა სწავლებამ შედეგებზე მაინც მოახდინა გავლენა. წინა წლებში უფრო უკეთესი შედეგები იყო.

როგორ დაიწყეთ 2021-22 სასწავლო წელი?

2021-22 სასწავლო წელი 15 სექტემბერს დისტანციურად დაიწყო. მინდა მივულოცო ჩვენს მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს სასწავლო წლის დაწყება. უპირველეს ყოვლისა, ვუსურვო ჯანმრთელობა და მალე სასწავლო სივრცეში სწავლის გაგრძელება.

განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები, პირველკლასელთა ბუკები დარიგებულია. მონესრიგებულია სკოლები სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით. დარიგებულია ხელის სადებიზინფექციო ხსნარები, დეზობარიერები, პირბადეები და თერმომეტრები.

რა მნიშვნელოვანი ცვლილებებია გასულ სასწავლო წელთან შედარებით?

მინდა ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას, რომ ოქტომბრის ბოლოს სამთაწყაროს საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია დამთავრდება და განახლებულ სკოლაში დაიწყება სწავლა.




ცვლილებებია ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა სკოლა, ახალი სკოლის მოდელში ჩაერთვება, რომელიც მოსწავლეთა თავისუფალ აზროვნებაზეა გათვლილი.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს პირველად ჩააბარეს გამოცდები სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მომუშავე მასწავლებლებმა და შეიცვალეს სტატუსი, გახდნენ უფროსი მასწავლებლები, შესაბამისად, გაეზარდათ ხელფასებიც.

როგორ შეხვდით ახალ სასწავლო წელს, როგორია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებების განწყობა?

ჩვენი სასკოლო საზოგადოების განწყობა ოპტიმისტურია. ვფიქრობ, მალე გაქრება ჩვენი ცხოვრებიდან კოვიდ-ინფექცია და ჩვეულ რიტმში გავაგრძელებთ სწავლასა და ცხოვრებას.



„მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ლექტორებს, სრულიად აკადემიურ სივრცეს ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას. წელს, პანდემიის გამო, სასწავლო წელი დისტანციურ ფორმატში იწყება, მაგრამ ეს დროებითია. დღეს ფუნქციონირებას იწყებს „ტელესკოლის“ უაღრესად მნიშვნელოვანი, საერთაშორისოდ აღიარებული პროექტი, რომელსაც დისტანციური სწავლების მეთოდებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ გვექნება დიფერენცირებული მიდგომა, რაც გულისხმობს იმას, რომ 4 ოქტომბერს, იმ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც ინფიცირების მაჩვენებელი იქნება 4%-ზე ნაკლები, სკოლები, პროფესიული სასწავლებლები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები შეძლებენ დასწრებულ ფორმატზე გადასვლას. იმისთვის, რომ ჩვენ ამას მივაღწიოთ აუცილებელია საზოგადოების კონსოლიდირება ჯანდაცვის სფეროს რეკომენდაციების ზედმიწევნით დაცვაში. აქ მე განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მშობლების აცრის საკითხს. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს, რომ ჩვენმა შვილებმა სწავლა გააგრძელონ ბუნებრივ გარემოში, ანუ საკლასო ოთახებში. ჩვენ ასევე მივიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვე-

სასწავლო წელი, ამის გასარკვევად გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ ეთერ ზურბიკაშვილს გაესაუბრა.

როგორ შეაჯამებთ გასული სასწავლო წლის შედეგებს? რამდენი მედალოსანი იყო ჩვენს მუნიციპალიტეტში?

მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველს. მოგეხსენებათ, 2020-21 სასწავლო წელი 15 ივნისს დამთავრდა. პანდემიის გამო მთელი სასწავლო წელი ექსტრემალურ სიტუაციაში მიმდინარეობდა. წერტილოვნად იკეტებოდა სკოლები. ყოველივე ეს კი გავლენას ახდენდა სწავლების ხარისხზე. მიუხედავად ამისა შეჯამდა შედეგები. 259 სკოლადამთავრებულიდან 27 მოსწავლე ოქროსა და ვერცხლის მედალოსანია. 20-ოქრო და 7-ვერცხლი. გასული სასწავლო წლისა და ახლანდელ საბაზო სკოლადამთავრებულებს საჩუქრად გადაეცემათ ლეპტოპები „ჩემი პირველი კომპიუტერის“ პროგრამის ფარგლებში.

როგორია მისაღები გამოცდების შედეგები? არის თუ არა 100%-იანი დაფინანსების შემთხვევები? ზოგადად, რამდენმა კურსდამთავრებულმა მოიპოვა გრანტი?

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის



ბულ სკოლაში დაიწყება სწავლა. სასიხარულოა, რომ სამინისტრომ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში ჩასვა ოზანის საჯარო სკოლის მშენებლობა. ასე, რომ ბევრი რამ კეთდება სკოლების კეთილმოწყობისა და მასწავლებლების პირობების გაუმჯობესების მიზნით.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს პრემიერს, მის მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას ასეთი ზრუნვისთვის.

გაზეთი „შირაქის“ რედაქცია ულოცავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას. უსურვებს მათ უღებ წარმატებას, პროფესიულ ზრდას და ჯანსაღ სასწავლო გარემოს.

ესაუბრა
სათუნა ბენაშვილი

უემციურული უოხადოზა და დემოგრაფიული სოფროსე

კორონავირუსის პანდემიამ, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, უამრავი პრობლემა შეუქმნა კაცობრიობას. მათ შორისაა დემოგრაფიული საკითხი იმ მცირერიცხოვან ერებში, რომლებიც ამ პრობლემის წინაშე მანამდეც იდგნენ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში 2021 წლის იანვარი-ივნისში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 21 839 ბავშვი შეადგინა. ამავე პერიოდში ქვეყანაში გარდაიცვალა 25 821 ადამიანი. ამასთან, 2021 წლის პირველ ნახევარში ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) -3 982 კაცით განისაზღვრა. ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებელი მხოლოდ ქვეყნის ორ რეგიონში დაფიქსირდა: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა (717) და ქვემო ქართლში (195). „საქსტატის“ ცნობით, 2021 წლის 6 თვეში რეგისტრირებულია ქორწინების 9 163 და განქორწინების 4 675 შემთხვევა.

2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) მოსახლეობა 3 713 804 ადამიანს შეადგენდა. მოსახლეობის 57.2% ქალაქში ცხოვრობდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 25 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა ერთი მეხუთედით შემცირდა, რაც განპირობა ომებმა, სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და ემიგრაციამ. მკვეთრად იკლო შობადობამ, იმატა

ხოლო 2100 წლისთვის 2,4 მილიონი იქნება.

რა გამოწვევების წინაშე იდგა საქართველო დემოგრაფიული კუთხით საუკუნეების განმავლობაში?

ისტორიოგრაფიაში მიღებული მონაცემებით XIII საუკუნეში ქართველების რაოდენობა 5 მილიონს აღწევდა. უცნობია XIV-XVII საუკუნეების მონაცემები. XVIII საუკუნის შუა ხანებში საქართველოს მოსახლეობას (დღევანდელ საზღვრებში) 761 ათასით ანგარიშობენ, აქედან 5% ცხოვრობდა ქალაქებში. 1800 წლისთვის საქართველოს (დღევანდელ საზღვრებში) მოსახლეობა 675 ათასზე მეტი იყო, აქედან აღმოსავლეთ საქართველოზე მოდიოდა მოსახლეობის 45,6%, ხოლო დასავლეთზე — 54,4%. 1832 წელს ის 840 ათასამდე გაიზარდა, ხოლო 1865 წელს 1 289 200-ს გადააჭარბა. 1897 წელს საქართველოს მოსახლეობა იყო 1 919 400 ადამიანი, 1914 წელს კი 2 600 400. ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა 3,4-ჯერ გაიზარდა. პავლე ინგოროყვას ცნობით 1916 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3 365 000 ადამიანს, აქედან 2 349 000 ადამიანი იყო ქართველი. საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 200 ათასით შემცირდა პირველი მსოფლიო ომის დროს და პირველი რესპუბლიკის წლებში, რაც გამუდმებული ომებით და ტერიტორიების დაკარგვით იყო განპირობებული. 1921 წელს საქართველოს მოსახლეობა 2 410 ათასამდე დავიდა. XX



მომგრაფიული მდგომარეობა უარესდება, ეს ფაქტია და ამას სტატისტიკაც ამყარებს. ამ ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული და გონივრული პოლიტიკის გატარება. ნათელია, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა ორიენტირდეს შობადობის მატებასა და გარე მიგრაციის დონის შემცირებაზე. რა თქმა უნდა, ამის მისაღწევად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა. **დემოგრაფიული ფონის გაუარესების ძირითადი საფუძვლებია, შობადობის შემცირება, სიკვდილიანობის ზრდა, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება და გარე მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი. სწორედ, ამ მიმართულებით უნდა გადადგას სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეკონომიკა, შრომის ბაზარი, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, საკვების ხელმისაწვდომობა, ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.** საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის ვექტორის დადებითობის მაჩვენებლისკენ შემობრუნება, საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოს თითოეული მოქალაქის პრიორიტეტად უნდა იქცეს, რაც პირველ რიგში სწორი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ხელშეწყობი პროგრამების დანერგვას გულისხმობს.

არაეფექტურ დემოგრაფიულ პოლიტიკაზე ცხადჰყოფს ის მწირი სოციალური პროგრამები, რომლებიც დღეს მოქმედებს. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №262 დადგენილებით დამტკიცებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა საკმარისი არ არის და პროგრამით გათვალისწინებული 100-დან 200 ლარამდე ყოველთვიური ფულადი დახმარება, ვერ

უზრუნველყოფს საქართველოში, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებასა და შობადობის მატერიალურ ნახალებს. ასევე პრობლემურია მარტოხელა მშობლის სამართლებრივი სტატუსისა და მდგომარეობის განსაზღვრის საკითხი, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით ვერ ახდენს დადებით გავლენას დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. არ არის განსაზღვრული პროგრამა, რომელიც მარტოხელა მშობლის გარანტიებს უზრუნველყოფს, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში ასეთი პრივილეგიების ქონა დადებით შედეგებს იძლევა. შობადობის კოეფიციენტის გაზრდის მიზნით, სახელმწიფომ განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს მარტოხელა მშობლის მიმართ და იგი მყარი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოს, იმის გათვალისწინებითაც, რომ მარტოხელა მშობლების რიცხვი წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მზარდი ხდება.

დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესების მიზნით, უმჯობესია, რომ შევუშავდეს მიზნობრივი სოციალური პროგრამები, განსწორდეს ცვლილებაში ჯანმრთელობისა და შრომის კანონმდებლობაში, გაზარდოს ეფექტური რეგიონული განვითარების პოლიტიკა, აღორძინდეს სოფლის მეურნეობა, გაუმჯობესდეს სოციალური განათლების სისტემა, გაზარდოს ბავშვთა მოვლის საფარო დანახარებების ქსელი, რადგან დემოგრაფიული მდგომარეობა და მოსახლეობის რაოდენობის შემცირება არ არის მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები. მოსახლეობის მატების პროპორციულად იზრდება შრომისუნარიანი ასაკის ადამიანების რაოდენობა, რაც სხვა პირდაპირ და არაპირდაპირ ფაქტორებთან ერთად, ეკონომიკური აღმავლობის წინაპირობაა.




სიკვდილიანობამ და საბოლოოდ ქვეყანა მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაეროს გათვლებით, 2030 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 3,8 მილიონი უნდა ყოფილიყო, თუმცა 2014 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა 3,7 მილიონს ოდნავ აღემატებოდა. გაეროსვე პროგნოზით საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისთვის 3,4,

საუკუნიდან მოსახლეობის რაოდენობის დადგენა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საშუალებით ხდება. პირველი აღწერა საბჭოთა საქართველოში 1926 წელს ჩატარდა, უკანასკნელი 1989 წელს. დამოუკიდებელ საქართველოში მოსახლეობის აღწერები ჩატარდა 2002 და 2014 წლებში.

ის, რომ საქართველოში დე-

მოამზადა
ჟურნალის მკვლევარი



საქონლის ადგილნარმოშობის დასახელების რეგისტრაციაში სვლილების შეტანა ქინძმარაული - რეგ. №787; რეგ. თარიღი: 30.03.2006 წ

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქსპატენტის სასაქონლო ნიშნების, გამოგრაფიული აღნიშვნებისა და ღიზინის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 8 სექტემბრის №7350/06 ბრძანების საფუძველზე, შეიკვალა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრში - საქსპატენტში რეგისტრირებული ადგილნარმოშობის დასახელების ღიზინო „ქინძმარაული“ ნარმოების სპეციფიკაცია.

აღნიშნული ინფორმაცია, „საქონლის ადგილნარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ

ბიულეტენში, ერთ ცენტრალურ და ერთ ადგილობრივ გაზეთში. მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქსპატენტში წარმოდგენილი შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუ 3 თვის განმავლობაში საქსპატენტში არ შემოვა რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ მასალებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული მონაცემები ღიზინის ადგილნარმოშობის დასახელების „ქინძმარაული“ შესახებ აისახება ადგილნარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სახელმწიფო რეესტრში.

სპეციფიკაციის მე-5 და მე-9 პუნქტები შეიკვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. ვაზის ჯიშები
ღიზინო „ქინძმარაული“ მზადდება ქინძმარაულის მიკროზონაში მონეული საფერავის და/ან საფერავი ბუდეშურისეურის ჯიშის ყურძნიდან. მისი წარმოებისას დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

9. შურის გადამამუშავა, ღვინის დამამუშავა და ჩამოსხმა
„ქინძმარაულის“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მონეული უნდა იყოს მხოლოდ ქინძმარაულის მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ყურძნის გადამამუშავება და ღვინის დამამუშავება დასამუშავებელია მხოლოდ კახეთის ზონის ფარგლებში, ხოლო ბოთლებში ჩამოსხმა - კახეთის ზონის ფარგლებს გარეთაც, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან, ყურძნის გატანა

ქინძმარაულის მიკროზონიდან გადასამუშავებლად და ღვინის გატანა კახეთის მევენახეობის ზონიდან ჩამოსახსმელად დასამუშავებელია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის პირობებში.

„ქინძმარაული“ მზადდება დურდოს არასრული ალკოჰოლური დუღილის გზით. „ქინძმარაულის“ წარმოებისას დასამუშავებელია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

სამომხმარებლო ბაზარზე „ქინძმარაულის“ გატანა დასამუშავებელია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

მ ა დ ლ ო ბ ა მ ე რ ი ა ს !

სალოვნების სკოლაში სწავლა უფასო გახდა

ჯერ კიდევ 2021 წლის მარტის თვეში დედოფლისწყაროს მერი ბ-ნი ნიკოლოზ ჯანაშიანი შეგვეპირდა, რომ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე (მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და კოვიდპანდემია), ყველა ღონეს იხმარდა, რათა ხელოვნების სკოლაში მოხსნილიყო თანადაფინანსება და სკოლა მთლიანად დაფინანსებულიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან. რამდენიმე დღის წინ შევიტყვევეთ მერიის გადანაცემის განყოფილება, რომ ხელოვნების სკოლაში ამა წლის 15 სექტემბრიდან სწავლა გახდება უფასო.

გულითადად ვულოცავთ სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს მერიის ამ კეთილშობილური ინიციატივას, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, პირველია აღმოსავლეთ საქართველოში. ულრმესი მადლობა ამისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას და პირადად ბ-ნ ნიკოლოზ ჯანაშიანს ხელოვნების დაფასებისა და მოსახლეობაზე ზრუნვისთვის.

დედოფლისწყაროს სალოვნების სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა

რამდენიმე თვის უკან დიდი განსაცდელი დამატყდა თავს - დამჭირდა სასწრაფო გადაუდებელი ოპერაცია, რომელიც თავისი სირთულით უნიკალური აღმოჩნდა. გამიკეთდა ოთხი ოპერაცია. ბუნებრივია, ამას ყველაფერს სახსრები სჭირდებოდა. მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ ნიკოლოზ ჯანაშიანს და დეპუტატს ბ-ნ დავით სონღულაშვილს, რომელთა დახმარებითაც დაჩქარდა ჩემი დაფინანსება. ულრმესი მადლობა ვეტერანთა დეპარტამენტს, ჩემს თანამშრომლებს, თანაკლასელებს, მეგობრებს, მეზობლებს, ბიძაშვილებს, ეკა ოზაშვილს, ციცო ტყაბლაძეს ყველას, ვინც ამ ძნელბედობის წამს მორალური და მატერიალური მხარდაჭერა გამიწია.

განსაკუთრებული მადლობა მკურნალ ექიმებს ბინა თავაშვილს და კახა ქაჭავაძეს, რომელთა მალალმა პროფესიონალიზმმაც განსაზღვრა ჩემი ბედი. თვით ექიმებსაც კი არა ჰქონდათ იმედი, რომ გადავრჩებოდი, მაგრამ მადლობა უფაღს, დღეს ცოცხალი ვარ ჩემი ოჯახისა და ახლობლების სასიხარულოდ.

ულრმესი პატივისცემით, პარლამ ქაღაბიძე.

უ ლ ო ც ა ვ ე ნ ! ბ ე ჟ ა ნ (ბ ა რ შ უ კ ი) გ ო ნ ა შ ვ ი ლ ს !

ჩვენო ერთგულო მეგობარო და გულშემმატიკვარო, ჩვენო ბაჩუკო, გილოცავთ საიუბილეო - 65 წლისთავეს! იყავი ჯანმრთელი, როგორც ყოველთვის, მხნე, სიცოცხლითა და ენერჯით სავსე. შენნაირი გონიერი, ღონიერი და ბედნიერი ადამიანი ბევრი არ არის ჩვენს შორის. დიდი ოჯახის თავკაცს უფლის ნყალობა და შემწეობა არ მოგკლებოდეს.

ბევრი კარგი საქმე გიკეთებია, მათ შორისაა გაზეთი „შირაქი“. შენი თანადგომის გარეშე, შეიძლება, დედოფლისწყარო ერთადერთი მდინა საშუალების გარეშე დარჩენილიყო. პირადი ურთიერთპატივისცემის გარდა, მუდამ კარგად გესმოდა გაზეთის როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში და ხელს გვინყობდი სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. მადლობა ყველაფრისთვის. კვლავაც გვეგულუბი ჩვენს გვერდით, ყველგან და ყოველთვის.

პატივისცემით, ბაჩო „შირაქის“ რედაქცია.

მ ა ლ ზ ი ნ ა ის მ ა ი ლ ო ვ ა ს ა და ა ნ ა ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ს !

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის პედაგოგიური კოლექტივი გულითადად ულოცავს ჩვენი სკოლის ყოფილ კურსდამთავრებულებს მალზინა ისმაილოვასა და ანა ლოლაშვილს თბილისის სახელობის კონსერვატორიაში წარჩინებით ჩაბარებას და უსურვებს მათ მრავალ წარმატებებს.

გილოცავთ დაბადების 65 წლის იუბილეს!
„ასეა წუთისოფელი, მზე ჩავა, მთვარე ამოვა, განა სუყველა კაცია?-ათასში ერთი გამოვა“.

საუკეთესო სურვილებით და დიდი მონინებით დედოფლისწყაროს ი. ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის და დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის „ფიროსმანის“ სახელით:
ვანო ნატროშვილი, ნანა ჟიჟინაძე, გოლაჩი გონაშვილი, გიორგი ნატროშვილი, ჯუშუბარი უთრუთაშვილი, მაყვალა გონაშვილი, მარინა ცხველიაშვილი.

ლი ა ჩ ო ქ უ რ ს !

ქალბატონო ლია, გილოცავთ 60 წლის საიუბილეო თარიღს 28 სექტემბერს. აგრეთვე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მნიგნობართა ასოციაციაში პასუხისმგებელ მდივნად 10 წლიან უანგარო მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ი.ჭავჭავაძის სახ. მნიგნობართა ასოციაციის გამგეობის მიერ სიგელით დაჯილდოებას.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით:
ნიკოლოზ ჯანაშიანი, ინა შიოლაშვილი, ნინო გორაშვილი, ვანო ნატროშვილი, მარინა ჰოვიაშვილი, ნანა ჟიჟინაძე, ხათუნა აბლაძე, მარინა ხარაშვილი, დიმიტრი ყოჩიაშვილი, ნუნუ ცაპაშვილი.

ა მ ი ნ დ ი	დ ე დ ო ფ ლ ი ს	ნ ო ვ ა რ ო
ორშაბათი 20.09 ღვ. ღამე	სამშაბათი 21.09 ღვ. ღამე	ოთხშაბათი 22.09 ღვ. ღამე
ღვ. ღამე 26° ღამე 15°	ღვ. ღამე 25° ღამე 15°	ღვ. ღამე 23° ღამე 15°
ღვ. ღამე 23° ღამე 12°	პარასკევი 24.09 ღვ. ღამე	შაბათი 25.09 ღვ. ღამე
ღვ. ღამე 19° ღამე 11°	ღვ. ღამე 20° ღამე 10°	კვირა 26.09 ღვ. ღამე
ღვ. ღამე 21° ღამე 12°		

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინა შიოლაშვილი
რედაქტორი ნინო გორაშვილი-ჟოჯოშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აძებს ვეტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ბოსტაშვილი (ბულალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანაქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.